ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო, დედის მუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა..."

# ოდიში

1991
სამშაბათი
7
მაისი
№ 54 (10447)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ტკივილი

## ერთსულოვნება ამარცხებს ბოროტებას

მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონებისაკენ ჩვენი ქალაქიდან ყოველდღე გადის კვების პროდუქტებით, ტანსაცმლით, სამშენებლო მასალებითა და საჭირო ტექნიკით დატვირთული ავტოკოლონები. ზუგდიდელები არაფერს იშურებენ გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანების დასახმარებლად, მათი მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად. პრეფექტურასთან შექმნილ საგანგებო შტაბში დღის ნებისმიერ დროს ხალხმრავლობაა, ყველას სურს გაემგზავროს უბედურების ზონაში, პური და გულის სითბო გაუნაწილოს უსახლკაროდ დარჩენილ მოყვასს.

დიდძალი სურსათი, ჩასაცმელ-დასახურავი, სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი მოაგროვეს და თავიანთ თანატოლებს გაუგზავნეს ჩვენი ქალაქისა და რაიონის მოსწავლე ახალგაზრდებმა. ტრესტ „კოლხეთმშენის" № 8 მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ სტიქიისაგან იავარქმნილ რაიონს ზეინკალ-სპეციალისტთა ბრიგადა, ბულდოზური და მძიმეწონიანი თვითმცლელი შეაშველა. მექანიკურმა კომბინატმა გაგზავნა 2 ტონა ცემენტი, 1000 ცალი საკედლე ბლოკი, 1 ტონა თუნუქი, 800 კილოგრამი ელექტროდი, გარკვეული ოდენობით დახერხილი მასალა, მავთულბადე, მილები და სხვა.

როგორც ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის სამეგრელოს სამხარეო ორგანიზაციის ზუგდიდის განყოფილების თავმჯდომარემ გიორგი ტყებუჩავამ გვაუწყა, ზუგდიდელ ტრადიციონალისტთა თხუთმეტკაციანმა ჯგუფმა ავტომანქანებით დაზარალებულთა დასახმარებლად ჩაიტანა 200 კილოგრამი ხორცი, 5000 ცალი კვერცხი, 11 ტომარა პურის ფქვილი, 120 კილოგრამი ჩაი, 800 კილოგრამამდე პური, მინერალური წყლები, კონსერვები, კარტოფილი, ბავშვების ტანსაცმელი და სხვა საქონელი.

თავიანთი მამულიშვილური სიტყვა თქვეს საბროილერო ფაბრიკის, რაიკოოპკავშირის, № 62 პროფტექნიკური სასწავლებლის კოლექტივებმაც.

დაზარალებულთა დახმარება გრძელდება, გრძელდება ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაც.

ჯამბულ არქანია.

## სულის სითბო უნდა მივიტანოთ

ბუნება მშვენიერების, სიკეთის წყაროა, მაგრამ ვაი, რომ ამ ბოლო დროს დაუნდობელი გახდა ჩვენთვის იგი. არ გვაკმარა წინა წლების სტიქიური უბედურებები სვანეთში, აჭარაში.. მოუშუშებელ ჭრილობებს კიდევ ახალი სატკივარი დაუმატა... ზემო იმერეთი, ჩვენი თვალხატულა იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი.

ეულად დარჩენილებთან სულის სითბო უნდა მივიტანოთ, მხარში ამოვუდგეთ, დავეხმაროთ მორალურად, ეკონომიურად.

ამისათვის თავისი შესაძლებლობები არ დაიშურა ზუგდიდის № 62 პროფტექნიკური სასწავლებლის კოლექტივმა (დირექტორი ზ. ფიფია).

სასწავლებლიდან 18 ვაჟკაცი 5 სატვირთო და თვითმცლელი მანქანებით—სამუშაო იარაღით, აირშედუღების აპარატებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საკვები პროდუქტებით, სანიტარული მოწყობილობით დატვირთულნი 2 მაისს გაეშურნენ შემთხვევის ადგილისაკენ. ისინი იქ 10 დღეს დაჰყოფენ, თუ საჭირო გახდება, ახალი ჯგუფით შევცვლით. ადგილზე დარჩენილებს მზად გვაქვს 30 დაზარალებული ოჯახისათვის საერთო საცხოვრებელი. მათ ყოველგვარი სახის დახმარებას აღმოვუჩენთ. გვჯერა, რომ ყოველი ზუგდიდელი შეძლებისდაგვარად დაეხმარება გაჭირვებაში ჩავარდნილ თანამემამულეთ.

მედიკო გუცხრიაძე,
№ 62 პროფტექნიკური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე.

## ჭირსა შიგან გამაგრება...

მოძმე სომხეთის გასაჭირს მტიროდით და ასეთივე უბედურება ჩვენც დაგვატყდა თავს. დახმარების ხელი სხვისთვის მრავალჯერ გაგვიწოდებია და ჩვენი სისხლის და ხორცის სატკივარი განა ჩვენივე არ არის?

გულთან ახლოს მიიტანა

ზემო იმერეთში დატრიალებული ტრაგედია ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს კოლექტივმა.

საავადმყოფოს სამეურნეო დარგის მუშაკებმა კუკური გუგუჩიამ, ბონდო მებონიამ, ჯემალ ჯიქიამ საკუთარი სახსრებით შეიძინეს მედიკამენტები, 800 ბოთლი მინერალური წყალი, 800 კილოგრამი კიტრი და პამიდორი და ქუთაისის პრეფექტურაში გამოცხადების შემდეგ წავიდნენ ონის რაიონში დაზარალებულთა დასახმარებლად.

საავადმყოფოს კოლექტივი შესაბამის ფონდში გადარიცხავს 5 დღის ხელფასს, ხოლო მთავარმა ექიმმა ნ. წასიძემ ერთი თვის ხელფასი შემატა ამ თანხას. დღეისათვის სულ გადარიცხულია 14 ათასი მანეთი. საავადმყოფოს მუშაკები წლის ბოლომდე ყოველთვიურად დახმარების ფონდში გადარიცხავენ თითო თვის ხელფასს.

საჭიროების შემთხვევაში კოლექტივის წევრები საკუთარ სისხლსაც გაიღებენ დაშავებულთათვის.

• • •

მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქალაქის საკონსერვო ქარხნის მშრომელებს მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონის დასახმარებლად. აქ პირველი დღიდანვე შეიქმნა 30-კაციანი ჯგუფი, რომელთაც ჩაუტანეს უსახლკაროდ დარჩენილთ 500 კილოგრამი შაქარი, მათვე გაუგზავნეს 5 ათასამდე ქილა მსხლის, ტყემლის, მანდარინის ხილფაფა, სხვადასხვა წვენები, დაკონსერვებული ეკალა სულ 8050 მანეთის საქონელი. ჯგუფი სამი დღის განმავლობაში მუშაობდა იქ.

ამჯერად მეორე ჯგუფი გაემგზავრა ქარხნის დირექტორის მურთაზ სოსელიას, ბუღალტრის—როლანდ შედანიას, მომარაგების უფროსის—ლიმერ შელიას მონაწილეობით. ისინი გაეცნობიან მდგომარეობას და საჭიროებისამებრ კვლავ გაგზავნიან პროდუქტებს, გაუწევენ დახმარებას.

• • •

ალბათ ზღვაში წვეთია დახმარების ის რაოდენობა, რომელსაც თითოეული ჩვენგანი გაიღებს დაზარალებულთათვის, მაგრამ მათთვის ახლა მცირე ყურადღებაც დიდი ნუგეშია.

ქალაქის ვაჭრობის განყოფილების გამგის მოადგილემ თ. ბიჭიამ დაზარალებულთა ფონდში საკუთარი დანაზოგიდან 500 მანეთი შეიტანა. ხოლო ვაჭრობის მთელი ორგანიზაცია ხელფასის 30 პროცენტს გადარიცხავს მათ დასახმარებლად —სულ 60 ათას მანეთს. მათვე გაეგზავნებათ აგრეთვე 10 ათასამდე მანეთის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სურსათი.

## სტიქია უზენაესია

ამ ძნელბედობის ჟამს, როცა მიწისძვრამ დააზარალა უძველესი ქართული სოფლები და რაიონული ცენტრები: ამბროლაური, ტყიბული, საჩხერე, ონი და სხვა არავინ დარჩენილა გულგრილი.

შეითანწყარელმა მშრომელებმა ეს გასაჭირი გაითავისეს, როგორც საკუთარი და არაფერი დაიშურეს გადარჩენილთა დასახმარებლად.

8 მაისს ქუთაისის შტაბისაკენ დაიძრა 3 ათასი მანეთის პროდუქტებით, ტანსაცმლით, კარვებით დატვირთული ავტომანქანები.

დაზარალებულთა დახმარების საგანგებო ფონდში გადაირიცხა 5 ათასი მანეთი.

ო. ცაავა,
კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

## ეხმარებიან დაზარალებულთ

დიდი უბედურება მოგვიტანა 29 აპრილმა. თითქოს ესლა გვაკლდა, ათასობით ოჯახი უსახლკაროდ დატოვა სტიქიამ, მიწისძვრამ ადამიანთა აუნაზღაურებელი მსხვერპლი გამოიწვია. მთლიანად ალიგავა მიწისაგან პირისა ერთი სოფელი, დაღუპულთა რაოდენობა ჯერაც დაუდგენელია. „ჭირსა შიგან გამაგრება..." სწორედ ასეთ დროს გვიდგას მწედ დიდი რუსთველი, გასაჭირს გვიმსუბუქებს და ურთიერთთანადგომისაკენ გვაქეზებს.

ჩვენი უბედურება უცხოტომელებმაც გაიზიარეს და რა გასაკვირია, რომ საქართველოს ყველა კუთხეში წარმოება-ორგანიზაციები ცდილობენ დახმარების ხელი გაუწოდონ გაჭირვებაში ჩავარდნილებს.

ზუგდიდის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი ს. ზეროზია) მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში გადარიცხა 20 ათასი მანეთი და მათვე გაუგზავნეს ორი ტონა ფქვილი და 300 კილოგრამი ჩაი.

დაზარალებულთათვის დახმარების გაწევა გრძელდება.

## ახლა გვმართებს თავდადება

რაც დრო გადის უფრო ხაჩინო ხდება სტიქიის მძიმე შედეგები. მოულოდნელი და დიდი უბედურება დაგვატყდა ქართველებს. სწორედ ახლა გვმართებს თავდადება, ძმობის, თანადგომის, ურთიერთგატანის არნახული მაგალითი უნდა ვუჩვენოთ მსოფლიოს—მტერს და მოყვარეს, რომელთა ყურადღებაც ამ დღეებში, განსაკუთრებითაა მოპყრობილი საქართველოსკენ.

ფეხზე დგას ერი და ბერი, მცირედიც ემატება ერთმანეთს და „შეწირება" დაზარალებულთა სახარგებლოდ.

ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორმა ბორის ბულიამ გვაცნობა, რომ საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე ზუგდიდვაჭრობის, კოოპვაჭრობის, სავაჭრო შემსყიდველი საწარმოს, კოოპერატივ „თუთარჩელას" თანამშრომელთა მიერ სტიქიისაგან დაზარალებულთა ფონდში გადაირიცხა ოთხი ათასი მანეთი.

# საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზები და პრობლემები

საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურების ძირეული გარდაქმნა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მეშვეობით შესაძლებელია საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე, თავისუფალ მეწარმეობაზე გადასვლის პირობებში.

საბაზრო ურთიერთობა მეურნეობის ორგანიზაციის ისეთი მაღალეფექტიანი ფორმაა, რომლის დროსაც მწარმოებელი მაქსიმალურადაა დაინტერესებული მისი შრომის შედეგებით და იგი მთლიანად ემორჩილება ბაზრის კანონების ობიექტურ მოთხოვნებს და არეგულირებს მიწოდებისა და მოთხოვნების ურთიერთობებს.

საბაზრო ეკონომიკა მეურნეობრიობის მაღალეფექტიან სისტემასთან ერთად ეკონომიკის გაძღოლის ურთულეს სისტემად არის მიჩნეული, რომელიც ასრულებს შუამავლის ინფორმირების, სტიმულირების და სხვა ფუნქციებს საქონელმწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ამასთან ბაზარი შრომის განაწილების საუკეთესო ფორმაა. იგი არეგულირებს აგრეთვე საქონლის გაცვლისა და ყიდვა-გაყიდვის მთელ სისტემას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასები ფაქტობრივად ლიმიტირებულია და ცალკე კერძო მესაკუთრეთა ნებაზე არ ხდება მათი აწევა დაწევა. ცნობილია, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც დამკვიდრებულია საბაზრო ეკონომიკა ფასები სტიქიურად არ წესდება, სახელმწიფო ერევა მის რეგულირებაში.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით სახალხო მოხმარების საქონელზე ფასების აწევა იმიტომ იყო აუცილებელი, რომ მთელი რიგი სასურსათო და არასასურსათო, საქონელი იყიდებოდა თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასებში და სახელმწიფო იძულებული იყო ყოველწლიურად თავისი ბიუჯეტიდან მილიარდობით მანეთის დოტაცია გაეღო. პრობლემის ამდაგვარი ახსნა სწორი არ არის, რადგან მომხმარებელი გაცილებით იმაზე მეტს იხდიდა ზოგიერთი სახის სამრეწველო საქონელზე ვიდრე იგი უჯდებოდა სახელმწიფოს. ასე რომ ამ სხვაობის ხარჯზე თავისუფლად შეეძლო სახელმწიფოს შეევსო ბიუჯეტის დეფიციტი.

ახლანდელი ფასების რეფორმის ხელმძღვანელები არ ამბობენ თუ როგორ გაუძნელდება ცხოვრების პირობები დაბალშემოსავლიან ოჯახებს და განსაკუთრებით, ახალგაზრდა სპეციალისტებს. იმ კომპენსაციით და შეღავათებით, რაც მათთვის არის გათვალისწინებული. როგორც სტატისტიკური მონაცემებით ცნობილია დღეისათვის [illegible] ქვეყნის მუშამოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 220 მანეთამდეა, ხოლო 120 მილიონამდე ადამიანის თვიური შემოსავალი არ აღემატება 100 მანეთს, 43 მილიონი ადამიანისა 75 მანეთს. [illegible] საარსებო მინიმუმისათვის ფასების მომატებამდე საჭირო იყო 150 მანეთი. ფასების მომატებასთან დაკავშირებით კომპენსაციის სახით გაცემული თანხა საარსებო მინიმუმისათვის საჭირო თანხის 40 პროცენტს [illegible], მაშინ როცა პირველადი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტებზე ფასები 200 პროცენტით გაიზარდა, ყოველივე აქედან გასაგებია თუ რა მძიმე ეკონომიკური შედეგები შეიძლება მოჰყვეს ფასების ახლანდელ მომატებას. ფასების ამგვარი მომატება გავლენას მოახდენს არამარტო ცალკეული ადამიანების საარსებო პირობებზე, არამედ თვით ეკონომიკის მდგომარეობაზე, მისი განვითარების ტემპებზე, დარგობრივ სტრუქტურაზე.

ყოველივე ასეთი უარყოფითი შედეგების მიუხედავად საქართველოს მთავრობას არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ფასების ამდაგვარი მომატება. ჯერ ერთი საკავშირო ორგანოებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს ყველა იმ საწარმოს რესურსების საბითუმო ფასები, რომლებსაც დიდი რაოდენობით შემოაქვს და მეორე, თუ ძველი ფასები დარჩებოდა, მაშინ მეზობელი რესპუბლიკების მოსახლეობა დაიტაცებდა ჩვენს პროდუქციას.

ამდენად ფასების მომატების ასეთი მეთოდი, რომელიც უკიდურესად ამწვავებს ისედაც დაძაბული ცხოვრების პირობებს, არ იყო აუცილებელი. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად მთავრობას უნდა შეემცირებინა სამხედრო და მასთან გათანაბრებული ხარჯები და საზღვარგარეთისადმი ეკონომიკური დახმარების მოცულობა. საზღვარგარეთის ქვეყნებისადმი რომელ დახმარებაზე შეიძლება ლაპარაკი როცა ჩვენი სახელმწიფო ყელამდე ვალშია ჩაფლული. უკანასკნელი მონაცემებით საბჭოთა კავშირს საზღვარგარეთის ქვეყნების 80 მილიარდი დოლარი მართებს. საბჭოთა კავშირს 50 მილიონი დოლარი მართებს ისეთი პატარა სახელმწიფოსაც კი, როგორიცაა მალტა. საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას სათანადო ყურადღება გამოეჩინა საინვესტიციო პოლიტიკის გატარებისადმი და უნდა უზრუნველეყო სახსრების მიზნობრივი დაბანდება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ეკონომიკის განვითარება ყოველთვის იყო და იქნება დამოკიდებული ეკონომიკური კანონზომიერებით გათვალისწინებული სწორი გადაწყვეტილების მიღებაზე და მით უმეტეს საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობაზე გადასვლის დროს, როდესაც უნდა გატარდეს სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა, —პრივატიზაცია. აჩქარება ამ საქმეში არ ივარგებს, რადგან საზოგადოებაში ამ მხრივ აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენი რეგიონის სპეციფიკაციის გათვალისწინებით აუცილებელია საკუთრების პრივატიზაციის საზღვრების და მოდელების დადგენა. ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია სამრეწველო საწარმოების პრივატიზაციის რამდენიმე მოდელი და მათი განხილვა საგაზეთო პუბლიკაციაში პრაქტიკულად შეუძლებელია, ერთერთი მათგანი, რომლითაც შეიძლება განხორციელდეს პრივატიზაცია სამრეწველო საწარმოებში, არის ე. წ. „საწარმოს მშრომელთა ერთობლივი საკუთრება". ამ შემთხვევაში საწარმოს ყოველი თანამშრომელი ყიდულობს საწარმოს აქციების მცირე ნაწილს, ხოლო დანარჩენ ნაწილს შეისყიდის სახელმწიფო ბანკი. ამ ფორმის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ თანამშრომლები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებებს და უფრო მეტად არიან დაინტერესებული საკუთარი მუშაობის შედეგებით. ეს ფორმა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ მისაღებია იმ საწარმოებისათვის, რომლებიც გაკოტრების პირას არიან მისული. ასევე საწარმოს პრივატიზაციის ერთერთ ეფექტიან ფორმად მიჩნეულია „სოციალური დივიდენდის" ფორმა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო საწარმოები გადაიქცევა კორპორაციებად, რომელთა აქციები თავისუფლად ბრუნავს ბაზარზე და ყოველი მოქალაქე იღებს აქციების მაკეტს, ე. წ. „სოციალური დივიდენდის" სახით. ამ მოდელს აქვს თავისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

ხოლო რაც შეეხება სოფლის მეურნეობაში პრივატიზაციას, რამდენიმე ფორმა არსებობს. ისე კი უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების ერთი ფორმის არსებობა დღეს ყოვლად დაუშვებელია. მაგრამ არც საზოგადოებრივი მეურნეობების ხელაღებით გაუქმება გვმართებს. ახლა სანამ მიწის პრივატიზაციაზე კანონს მიიღებდნენ გლეხისათვის მთავარია წარმოებული პროდუქციის საკუთრების უფლების მინიჭება, რადგანაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას მიწის კერძო საკუთრება კი არა, მასზე მოყვანილი დოვლათის მეპატრონედ მშრომელი კაცის გადაქცევა განაპირობებს და სწორედ ამ ასპექტს ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება იჯარის შესახებ. მართალია იჯარა მიწის საკუთრებას არ ნიშნავს, მაგრამ გარდამავალ პერიოდში ეს აუცილებელია. პრაქტიკა გვიჩვენებს რომელი ფორმა აჯობებს პროდუქციის წარმოების ზრდისა და მშრომელთა მატერიალური სტიმულირების ამაღლებისათვის. აქ ერთი გარემოებაც უნდა იქნას გათვალისწინებული. დღეს შეუძლებელია მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის როლისა და მნიშვნელობის უგულვებელყოფა, ხელით შრომა ძვირი ჯდება საერთოდ, თანაც მძიმეა და არც მუშა ხელი გვყოფნის მცირე გაბარიტიანი მანქანა-ტრაქტორების უქმარისობის გამო. ამიტომ ჩვენს რეგიონში მასიურად გლეხურ მეურნეობებზე გადასვლა სასურველ შედეგს არ გამოიღებს. ამჟამად ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც წვრილგლეხური მეურნეობებია, უპირთ ტექნიკით მომარაგება და პროდუქციის რეალიზაცია, ერთიანდებიან მსხვილ მეურნეობებად.

პრივატიზაციის ყველა მოდელს, როგორც ზემოთ აღინიშნა აქვს თავისი დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, მაგრამ ეკონომიკის განვითარება ყოველთვის იყო დამოკიდებული ნოვატორობაზე და რეფორმაზე, არაორდინალური გადაწყვეტილების მიღებაზე. ეს ყოველთვის უნდა გვაძლევდეს ოპტიმალურ განწყობილებას და მომავლის იმედს და ვინ იცის ამ ძიებაში იქნებ დაიბადოს სრულიად ახალი ფორმა, რომელიც მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკისათვის იქნება მისაღები. ამიტომ დღეს როგორც არასდროს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოსამზადებელ პერიოდში არ გვაქვს უფლება ვიაროთ მოუფიქრებელი გზით, წავიდეთ არატრადიციულ მშენებლობაზე და არ ვიცოდეთ რისთვის და რას ვაკეთებთ. როგორ და რა დროში რა შედეგები მოყვება ჩვენს მოქმედებას. განა ცოტა იყო რეგიონში ასეთი არატრადიციული მშენებლობის ფაქტები, რომ დავივიწყოთ მათი უარყოფითი შედეგები, რაზედაც სავსებით სამართლიანად მიუთითა ზუგდიდის პრეფექტმა ბატონმა თამაზ ჟორჟოლიანმა ჟურნალისტებთან თავის პირველ ინტერვიუში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოსამზადებელ, გარდამავალ პერიოდში მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემუშავებულ იქნას რეგიონის განვითარების გრძელვადიანი გლობალური დინამიკური პროექტი, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება სახალხო მეურნეობის ნებისმიერ სფეროში რეგიონის სტრატეგიული დაგეგმვა. ამთავითვე უნდა ჩავატაროთ ყოველგვარი ბუნებრივი რესურსების აღრიცხვა ინვენტარიზაცია და შემოვიღოთ მკაცრი კონტროლი მათი რაციონალურად გამოყენების საქმეში, რადგან ბუნებათ სარგებლიანობის მექანიზმი გეგმიური სოციალისტური ეკონომიკის დროს პრინციპულად განსხვავდება იმ მექანიზმისაგან, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში გამოიყენება. აღნიშნულის გამო უნდა ჩატარდეს ბუნებრივი რესურსების (მიწა-წყლის, ტყის, წიაღისეულის და სხვა) ინვენტარიზაცია და დადგენილ იქნას მათი გამოყენების მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა. კერძოდ, საჭიროა, რეგიონში ყველგან მოეწყოს საზოგადოებრივ მეურნეობებში მიწების რეგისტრაცია და დაზუსტდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწების ოდენობა. ამასთან დადგინდეს ამჟამად გამოყენებული და დამუშავების გარეშე დარჩენილი იმ მიწების ოდენობა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო დღეს გამოუყენებელია.

მიწების რეგისტრაციის დროს მითითებული უნდა იქნას, რომელი კულტურის მოსაყვანად არის უფრო რენტაბელური აღნიშნული მიწის ნაკვეთი, გამოდგება თუ არა იგი სამოსახლოდ, რათა ვიცოდეთ რაიონში სამოსახლოდ ვარგისი მიწის ოდენობა და მათზე დაწესდეს მკაცრი კონტროლი. ამასთან, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის მიზანია არ დარჩეს არც ერთი გოჯი მიწა დამუშავების გარეშე. ასევე მიზანშეწონილადაა მიჩნეული დაზუსტდეს ტყითა და ბუჩქნარით დაკავებული მიწის ფართობები და დადგინდეს მათი მდგომარეობა, შემდგომში სათანადო ღონისძიებების ჩასატარებლად.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ საქართველოს სუვერენიტეტის განხორციელება და საბაზრო ურთიერთობის დანერგვა მთლიანად ბუნებრივ რესურსებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს, ვინაიდან ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და მათი რაციონალური გამოყენება მჭიდრო კავშირშია კონკრეტულ საზოგადოებრივ ფორმაციასთან. ამასთან, საბაზრო ეკონომიკის [illegible] დროს რა ფორმაც არ უნდა იყოს სახალხო მეურნეობაში დანერგილი, მაღალკვალიფიციური კადრების გარეშე სასიცოცხლო ღონისძიებები არ გადაიჭრება. პირველ რიგში კი ეკონომისტების გარეშე. ამიტომ საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ეკონომისტთა კადრების მომზადება-გადამზადების საქმეს, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ნიჭიერ ახალგაზრდა სპეციალისტებს საბაზრო ეკონომიკის მექანიზმის შესწავლის საქმეში. საბედნიეროდ რეგიონს ყავს ისეთი ახალგაზრდა ეკონომისტთა კადრები, რომლებიც შესძლებენ მოკლე დროში აითვისონ მენეჯმენტისა და მარკეტინგის პრინციპებით აზროვნება და სათანადო მუშაობა გასწიონ რეგიონის საკეთილდღეოდ.

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობაზე გადასვლა დაკავშირებულია არამარტო მეურნეობრიობის, არამედ მთელი საზოგადოებრივ და პოლიტიკური სისტემის ძირეულ ცვლილებებთან. ამიტომ მრავალი პრობლემა წამოიჭრება და დიდი და შრომატევადი სამუშაოები დაუგროვდება ჩვენი ქალაქისა და რაიონის პრეფექტურას. ამ რთულ სამუშაოთა შესრულებაში დიდი როლის შესრულება მართებთ რეგიონის ეკონომისტებს და ყველა სპეციალისტს ვისაც აქვს შესაძლებლობა თავისი წვლილი შეიტანოს რეგიონის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

გ. ზარქუა,
სახელმწიფო სტატისტიკის ზუგდიდის საქალაქო განყოფილების უფროსი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

## მოვუაროთ ხალხურ საგანძურს

# და სიბრძნის სხივი მოსავდა სტრიქონს...

ყოველი ჩვენგანი სულიერი შეჭირვებულობის ჟამს შვებას ეძებს. ამ დროს კარგი წიგნი მართლაც რომ მტკივნეულ წერტილზე მალამოს წასმაა. სწორედ ასეთ წიგნად აღიქვა ჩვენმა მკითხველმა ზუგდიდელი ავტორის, ბატონ კალისტრატე სამუშიას ახალი ნაშრომი — „ქართული ზეპირსიტყვიერება, მეგრული ნიმუშები".

აღნიშნულმა გამოცემისადმი ცხოველი ინტერესის მკაფიო მაგალითი გახლდათ ამ დღეებში ხაწარმოო გაერთიანება „საქქალაღდმრეწვის" კულტურის სასახლეში გამართული შეხვედრა, რომლის ინიციატორი იყო ზუგდიდის შემოქმედთა რეგიონალური საზოგადოება „აია".

საღამოს ცენტრალური ფიგურა გახლდათ ბატონი კალისტრატე, რომელმაც თავისი დაუცხრომელი ღვწა-რუდუნებით ასეულობით თანამემამულეში აღძრა ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალებისადმი ინტერესი. ზოგიერთმა მათგანმა თავად ხცადა კალამი საკუთარი ხალხური ნიმუშების შესაქმნელად.

ახეთი წიგნები საჭიროა იმისათვის, რომ მოყვასნ მოყვასისადმი შხამი და სიძულვილი გამოუნელდეს, —აღნიშნა თავის მისასალმებელ სიტყვაში ლოტბარმა დავით შუშანიამ. ქართული ფოლკლორის გაუხუნარ მარგალიტებთან ზიარება გვაძლევს იმის საშუალებას რომ უკეთ შევიგრძნოთ საკუთარი გენის ტკივილი, ხალხური საგანძურის თვითმყოფადობა.

აღნიშნული ნაშრომის გარშემო თავისი მოსაზრებები გამოთქვეს და ავტორს გულთბილად მიესალმნენ: ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრი—ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკები მანანა სოტკილავა, მამანტი პაჭკორია, მწერალი ევგენი აქუბარდია, მარტვილის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი გივი ელიავა, ამავე რაიონის ფოლკლორული საზოგადოების თავმჯდომარე ომარ ხუხუა და სხვები.

როგორც მუსიკალური მისტერია, ისე გაჟღერდა ნორჩების მიერ ორიგინალური სტილით შესრულებული უძველეს კოლხურ ღვთაებათა გაბაასება, რომლის ავტორი გახლდათ ედემ იზორია.

ხალხური პოეზიის უსიერ ტევრს გამონარიდი ცალკეული მარგალიტების იდუმალება განაცდევინეს მაყურებლებს საღამოს წამყვანებმა მზია ჯიჯონაიამ და ნათია ლუბელაძემ.

—ეს ის წიგნია,— მიანიშნა ერთ-ერთმა გამომსვლელმა, რომელიც გაიძულებს თუთარჩელა ლამეში წუთისოფლის ეფემერულობაზე, ბოროტისა და კეთილის დაუზოლავებელ ჭიდილზე იფიქრო. ამ დროს გიწვევა საოცრად სევდიანი სტრიქონიც: „თაში ირთუ ჩქინი ცხოვრება, კოჩი დო ეშმაკი რინას მართენა, არძას ობალუ ათე ქიანა, მარა ართიანც ნებას ვარზენა"...

შეხვედრას ლეიტმოტივად გასდევდა მშობლიური ზეპირსიტყვიერების თავისთავადობის თემა, რასაც გამორჩეულ ელვარებას მატებს პატრიოტიზმის მოტივი. ძლევამოსილი იმპერიების ექსპანსიას გადაურჩა კოლხეთი და უპირველეს ყოვლისა იგი გადაარჩინა ჩვენებური კაცის მაღალმა სულიერმა ძალისხმევამ. იგი ხეში, თუ ღერწმის უსუსურ ღეროში ღვთაებრივ სულს ჭვრეტდა, ხარის თავში, თუ ლოდის ნატეხში, თვით წყაროს წყალშიც უფლის ნებას ხედავდა.

ბატონმა კალისტრატემ თავის ნაშრომში ახლებურად გააშუქა წინაქრისტიანული ხანის წარმართული სალოცავების წარმომავლობა. იგი ძველ კოლხურ ღვთაებათა ანალოგიებს ეძებს ასურეთისა და ბაბილონის მითოსში. მარტო ჩვენი ურთასა და ასურეთის წმინდა სალოცავების „ჭემე მისარონის" თანხვედრა რად ღირს, ასევე საინტერესო მიგნებად გვესახება ეგზოტური მთვარე ღვთაების სარიტუალო ადგილის ურას და ურთას მსგავსება.

საღამო დაამშვენა ხალხური მთქმელების გამოსვლებმა, ცალკეულმა მუსიკალურმა ნომრებმა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია უძველესმა კოლხურმა სიმღერებმა, რომლებსაც ასრულებდნენ მარტვილის, აბაშის, გალის, ფოთის და წალენჯიხის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები.

ბატონ კალისტრატეს საღამოს მონაწილეებმა მიართვეს სამახსოვრო სუვენირები. ამაგდარმა ადამიანმა თავის გამოსვლაში გამოხატა უზომო მადლიერება შეკრებილი საზოგადოებისადმი. აღუთქვა მათ, რომ მომავალშიც ენერგიის დაუზოგავად იღვაწებს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მოძიებისა და მეცნიერული დამუშავებისათვის.

ყოველმხრივ მხარდასაჭერი და წასახალისებელია საზოგადოება „აიას" ეროვნული საქმიანობა. ის დღითიდღე იკრებს თავის გარშემო შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებულ პირებს, რომლებიც შთაგონებული არიან კოლხეთის ისტორიის, მისი თვითმყოფადი კულტურის სხვადასხვა კუთხით წარმოჩენის სურვილით.

ზ. ცხონდია.

# პირველად იყო სიტყვა

დასაბამითგან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა, ბრძანებს იოანე. სიტყვა იყო ის მაგიური ძალა, რომელმაც აპრილის იმ მზიან დღეს ქალაქის საგამოფენო დარბაზში მოგვიყარა თავი,— ქართული სიტყვა, პოეტური, მართალი. ამ სიტყვის ჯადო—თილისმის სადავე კი ქალაქის პირველი ექსპერიმენტალური სკოლის მე-11 კლასელ გოგონას, საინტერესო პოეტს თეონა შონიას ეპყრა ხელში. თეონას გვერდს მისი ლამაზი მეგობარი ლელა ცაავა უმშვენებდა. გოგონებს შორის კი ერთი მშვიდი და თავშეკავებული ბიჭუნა იჯდა. მგონი მალხაზი ჰქვია. როგორც გავიგე, მალხაზისაც უყვარს პოეზია, კითხულობს, ზოგჯერაც თვითონაც წერს, ისე, როგორც გამოუვა. არ ემალება, მაგრამ ჩანს ულექსოდაც არ შეუძლია.

გოგონები იმ დღეს საკუთარი ლექსებით შეხვდნენ პოეზიის თაყვანისმცემლებს. მართლაც, ლამაზი დღე იყო, რალაც თბილი, სუფთა, ძალიან ბუნებრივი და ფაქიზი.

მართალი გითხრათ გაოცებული დავრჩი თეონას პოეტური აზროვნებით. ამ მშვენიერ გოგონას თავისებური პოეზია აქვს, თავისებური ხედვა, საკუთარი მსოფლმხედველობა, საკუთარი გამომსახველობის უნარი, თეთრი, მაგრამ შინაგანი მუსიკით სავსე პოეზია. „თქვენ თუ გგონიათ მე მხოლოდ ის ვარ, როგორსაც მხედავთ, უფროხები შემცდარხართ ძლიერ" —წერს ერთგან თეონა და ყველგან, ყველა სტრიქონში ჩანს, რომ მას არ უყვარს ნიღაბი და მას არასოდეს არ თამაშობს; თეონა ყოველთვის მარტოა საკუთარ სათქმელთან, საკუთარ ტკივილთან, საკუთარ სიხარულთან და მარტომყოფიც მშვენივრად ძლევს ყოველგვარ შინაგან უწესრიგობებს. იგი ადამიანებს ეძებს, სიმართლეს ეძებს, საკუთარ თავს ეძებს ამ აფორიაქებულ სამყაროში.

ლელა? ლელაც ძალიან მოაზროვნე გოგონაა. პოეტური სულის, გულის. არასოდეს არ ეთამაშება სიტყვას, ზომიერად, თავისუფლად იყენებს მას. სადა და დამაჯერებელი მეტყველება აქვს. მგრძნობიარე, ფაქიზი გოგონაა. ოღონდ ესაა ძალიან მორცხვია, თუმცა უნდება კიდეც ეს უნებლიე სიმორცხვე და ბავშვური დაბნეულობა. „ვინ იცის ჩემში მერამდენედ მეორდება ვიღაცის ბედი. ალბათ ძველად ან მომავალში მე მგავს ვიღაცა"—წერს ლელა და შენ, მკითხველი ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე ეთანხმები მას...

თეონა და ლელა. ლელა და თეონა. არა, არ გვანან ისინი ერთმანეთს და განა მართლაც არ ჯობია არ ვგავდეთ ერთმანეთს. ამ გოგონებს სხვადასხვა გზა აქვთ, თავისუფალი გზა, პოეზია მათი ლამაზი კარავია, მათი საიმედო თავშესაფარი. გაუფრთხილდი ამ გოგონებს, ჩემო ქალაქო. შენ ჯერ არ იცი მათი სახელი. ისინი მომავლის ადამიანები არიან. გაუფრთხილდი მათ და აჩვენე რომ მოფერება შეგიძლია, დანახვა შეგიძლია, მოსმენა შეგიძლია, ხაჭკვარულის უხვად გაღება შეგიძლია. ბედნიერად იტარე ყველგან, შენს ქუჩებში, შენს თვალწინ გაზრდილი პირმშვენიერი გოგონები.

იმ დღეს ჩვენ ყველანი ვდღესასწაულობდით. ყველას გვიხაროდა, განსაკუთრებული მღელვარება მაინც მათ პედაგოგებსა და სკოლის დირექტორს ბატონ გონელი პაპავას ეტყობოდა, შეხვედრაზე კიდევ ერთი სიახლე გამოიკვეთა: საფუძველი ჩაეყარა ქალაქის პირველი ექსპერიმენტალური და თბილისის 164-ე ექსპერიმენტალური სკოლების ჩევორობას. მათი მეგობრობის ისტორიის პირველი ფურცელიც ოფიციალურად იმ დღეს შეივსო. სტუმრებმა და მასპინძლებმა სიმბოლური საჩუქრები გაცვალეს. შეხვედრას საოცრად ლამაზი და შინაარსობრივი ფონი სწორედ 164-ე ექსპერიმენტალური სკოლის ქართული ხალხური მუსიკის ანსამბლმა მისცა. ძალიან გამაკვირვა ამ ახალი სკოლის ერთსულოვნებამ, მისმა საოცრად შეკრულმა ახალგაზრდულმა და ლამაზმა კოლექტივმა, პედაგოგებისა და მოსწავლეების ურთიერთობამ. ამ ლონისძიებამ ნათლად გამოაჩინა, რომ ისინი ბავშვების ცხოვრებით ცხოვრობენ, მათი სიხარულით ხარობენ, ეძებენ, პოულობენ და ისევ ეძებენ. აბა რა გასაკვირია „ხორციელნი ხორცისას იზრახვენ, სულიერნი სულისას".

შეხვედრას ესწრებოდნენ მწერალი ჯ. ქირია, ჟურნალისტი ზ. ცხონდია, პოეტი და პედაგოგი ზ. სარია. თითოეულმა მათგანმა ამ დღეს თავისებური შეფასება მისცა. ღონისძიებას უძღვებოდა მე-11 კლასელი გოგონა ხ. ბარათაშვილი. მე დღეს ყველაზე ბედნიერი ვარო,—ამბობდა ხათუნა. იგი საკუთარ ბედნიერებას თავისი მეგობრების თეონასა და ლელას ბედნიერებაში ხედავდა.

შეხვედრა შემდეგ ერთ მშვენიერ საბანკეტო დარბაზში გაგრძელდა. იმ დიდ დარბაზშიც პოეზია პირველობდა. იყო ლექსი, იყო სიმღერა, მუსიკა, ერთმანეთის სიახლოვით გამოწვეული სიხარული. თურმე როგორ ვეძებთ ერთმანეთს, როგორ გვჭირდება ერთიმეორე.

ეს დღე სიკეთის ლამაზი დღესასწაული იყო. ერის ზნეობრივი გამთლიანებაც ხომ აქედან იწყება, ამაზეც უნდა იფიქროს ყველამ, თორემ თუ სამეფო თავის თავს განეყოფა, ვერ გაძლებსო ის სამეფო, და თუ სახლი თავის თავს განეყოფაო, ვერ გაძლებსო ის სახლი. რა ვქნათ, არ დავუჯეროთ ბიბლიურ სიბრძნეს?

თეონა და ლელა სულ მალე წავლენ სკოლიდან. წავლენ და ამ სკოლის სითბოსა და სიყვარულს წაიღებენ საგზლად. აქედან წაღებული სიკეთით გაინათებენ თავიანთ ცისფერ გზებს სინათლის ტაძართან რომ მიიყვანს მათ.

ნონა დავითაია.

ეს დღეები სოფლად

## შარშან და წელს

ხეცერის მეურნეობას დიდი წვლილი შეაქვს რაიონის ეკონომიკაში. 421 ჰექტარზე ყოველწლიურად იკრიფება 800 ტონამდე ნედლეული.

შარშან შრომის იჯარული მეთოდით შრომობდა 14 ბრიგადა, წელს კი 12 ბრიგადასთან ფორმდება ხელშეკრულებები და ამდენად 24 ბრიგადა ჩაებმება დიდი ჩაისათვის ლაშქრობაში.

421 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან გადაბარვას ექვემდებარება 319 ჰექტარი, ეს სამუშაო დღეისათვის ჩატარებულია 190 ჰექტარზე. ჩაის ბუჩქების გასხვლა დასასრულს უახლოვდება. ფოსფორი შეტანილია 270 ჰექტარზე, კალიუმი—200 ჰექტარზე.

მეჩაიე მშრომელთა განწყობა მაღალია, რამეთუ დამოუკიდებელი საქართველოსათვის გარჯა არავის ეთაკილება.

სეზონისათვის მზადება დასასრულს უახლოვდება.

## სოფელი შემოქმედია

გაზაფხული ძალუმად იგრძნობა სოფლებში. შინ ვერავის ნახავ თუ ქმლავი ერჩის და შრომის უნარი აქვს. ოქტომბერში გაშენებულ 212 ჰექტარ ჩაის პლანტაციას სოფლის მშრომელები უვლიან, ახარებენ და შრომის ხაზღაურსაც არ უჩივიან. საზოგადოებრივი მეურნეობის შემოსავლებიდან მიღებული თანხით შენდება აქ ბაღები, სკოლები, საყოფაცხოვრებო ობიექტები.

სამ საბავშვო ბაღში იზრდებიან აქაურთა შვილები, ერთი საშუალო და ორი დაწყებითი სკოლა ემსახურება მოსწავლე - ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. მშრომელთა საუკეთესო დასვენების ადგილია ის ორი კლუბი, რომელიც აქ დიდი ხანია რაც ფუნქციონირებს.

დღესაც ემატება ახალი ობიექტები სოფელს. ხარაჩოებშია საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი.

ბ. [illegible]

ექიმის საუბარი

# საშიში სენი

ვენერული სენი დღემდე აერთიანებდა ოთხ დაავადებას (ათაშანგი, გონორეა, რბილი შანკრი და საზარდულის ლიმფოგრანული მატოზი), მაგრამ ეს წარმოდგენა შეიცვალა და დღეს ვებრძვით არა მხოლოდ ვენერულ სენს, არამედ სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს, რომელთა რიცხვი 20-ს აჭარბებს, ისინი ძირითადად აზიანებენ შარდსასქესო სისტემას, მაგრამ მათი უმრავლესობა მთელი ორგანიზმის დაავადებაა.

იყო დრო, როცა ხმამაღლა ვერ ვლაპარაკობდით აღნიშნულ დაავადებებზე, რამაც საკმაოდ მძიმე დაღი დაასვა ჩვენს საქმიანობას. ვენერული სენით დაავადებების შემცირებამ კი შეასუსტა ყურადღება და კონტროლი.

როგორც ბოლო წლების დაკვირვებით დადგინდა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელებას მხოლოდ სოციალურ მდგომარეობას ვერ მივაწერთ, მისი მატება გამოწვეულია პროსტიტუციის, ალკოჰოლიზმისა და სხვა მავნე ჩვევების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებით. ამავე დროს სათანადო სიმაღლეზე არ დგას ანტივენერული პროპაგანდა და ახალგაზრდებში სქესობრივი ჰიგიენის ნორმების ჩამოყალიბება.

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები გართულებებით ხასიათდება. ათაშანგი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ყოველგვარი გარეგნული გამოვლინებების გარეშე ფარულად მიმდინარეობს, აზიანებს შინაგან ორგანოებს, ნერვულ სისტემას, მხედველობას, ფსიქიკას.

შარდ-სასქესო სისტემის ანთებადი დაავადებები, ორგანიზმის ზოგადი დასნებოვნების გარდა, ხშირად იწვევს უშვილობას და სქესობრივი უძლურობის მიზეზი ხდება.

უშვილო ოჯახთა გამოკვლევით დადგინდა, რომ ქალთა შორის 21 და მამაკაცთა შორის 60 პროცენტში უშვილობის მიზეზი გადატანილი, ცუდად ნამკურნალები ან ამჟამად არსებული გონორეა იყო, დადგენილია სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების როლი უშვილობის განვითარებაში. აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი გავლენა აქვს დემოგრაფიულ მაჩვენებლებზე შარდ-სასქესო სისტემის პათოლოგიას, განსაკუთრებით კი სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებს.

საბედნიეროდ, შემთხვევათა უმრავლესობაში მკურნალობით ვაღწევთ სასურველ შედეგს, მაგრამ ზოგჯერ, განსაკუთრებით დაგვიანებულ და შორსწასულ შემთხვევებში, მკურნალობა უშედეგოა.

ვენერული სენის გავრცელებაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის თვითმკურნალობას და კერძოდ მკურნალობას. გახმაურების შიშით ავადმყოფები ხშირად მიმართავენ კერძო ექიმს ან ექთანს, რომელსაც დიაგნოზის სწორად დასმის საშუალებაც არა აქვს, (ლაბორატორიული გამოკვლევების არ არსებობის გამო). დაავადების კერძოდ მკურნალობას ექიმების გარდა ეწევა საშუალო სამედიცინო პერსონალი და არასამედიცინო განათლების მქონე პირები.

ვენდაავადებების სამკურნალო დაწესებულების გარეშე მკურნალობა მეტად საზიანოა ავადმყოფისათვის და მასთან კონტაქტში მყოფი პირებისათვის, რადგან მკურნალობის ასეთი ფორმების შედეგად ქრება მხოლოდ დაავადების გარეგნული ნიშნები და იგი ფარულ ფორმაში გადადის. ავადმყოფი რჩება ინფექციის გამავრცელებლად, მას სხვადასხვა მძიმე, ზოგ შემთხვევაში შეუქცევადი გართულებები უვითარდება.

ყველაზე მძიმე დაავადება, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სქესობრივი გზით გადადის, არის მეოცე საუკუნის „შავი ჭირი"— შეძენილი იმუნოდეფიციტური სინდრომი (შიდსი).

ჩვენს რესპუბლიკაში საუბედუროდ არის გამოვლინებული ინფექციის მატარებლები და მათ შორის სიკვდილიანობა. როგორც სხვა ინფექციურ დაავადებებთან, ისე შიდსთან ბრძოლა ჯანმრთელობის დაცვის სისტემისა და მთელი საზოგადოების ვალია. ვენერიული დაავადებების თავიდან აცილების ყველაზე, ეფექტიანი საშუალებაა მისი პროფილაქტიკა. სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პროფილაქტიკა კი პირველ რიგში სქესობრივი ჰიგიენისა და ცხოვრების ზნეობრივი ნორმების დაცვაა. მამაკაცის და ქალის ურთიერთობა აგებული უნდა იყოს ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე, [illegible] ახნილი და [illegible] ცხოვრება ჩვენი ხალხის და საზოგადოებრივი წყობისათვის არ არის დამახასიათებელი, მაგრამ ზოგჯერ ადგილობრივი თუ ჩამოსული, მოხეტიალე პირი ანგარების მიზნით არ ერიდება არაფერს, ჰყიდის თავის გრძნობასა და სხეულს, ვენერული სენით დასნებოვნების საფრთხეში აყენებს ახალგაზრდობას თუ საშუალო ასაკის თაობას.

იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ვერ შეიკავებენ თავს შემთხვევითი სქესობრივი კავშირისაგან, ვურჩევთ, პირველ ორ საათში მიმართონ პირადი პროფილაქტიკის პუნქტებს, რომლებიც ფუნქციონირებენ ყველა ვენდაწესებულებასთან დღე-ღამის განმავლობაში, დაავადების საეჭვო ნიშნების გამოვლინების შემთხვევებში მიიღებენ კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას, ამავე დროს მათი დაავადების ამბავი არ გახმაურდება.

დ. კვარაცხელია,
ქ. ზუგდიდის კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერის მთავარი ექიმი.

რედაქტორი
პ. ჭანტურია.

## განცხადება!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. ზუგდიდის №6 საგამომძიებლო იზოლატორის ადმინისტრაციის (მდებარე ქ. ზუგდიდი, ცოტნე დადიანის ქუჩა №11, ტელეფონები: 2—49—81, 2—49—80), გიწვევთ გასაუბრებაზე სამუშაოზე მოწყობასთან დაკავშირებით.

ჩვენთან მიღებული პიროვნება პირველ წელს მიიღებს თვიურ ხელფასს 350 მანეთს, მუშაობის მეორე წელს ხელფასი იმატებს 10 მანეთით და ა. შ. ყოველწლიურად ორჯერ მიიღებს ფორმის ტანსაცმელს და ერთჯერად შეღავათს უფასო გამგზავრებით. ერთი წლის მუშაობის სტაჟის მქონე თანამშრომლები, სურვილისამებრ გაიგზავნებიან სასწავლებლად ქ. თბილისის მილიციის უმაღლეს სკოლაში და სწავლის პერიოდში შეუნარჩუნდებათ ხელფასი, უზრუნველყოფილნი იქნებიან უფასო ბინით, კვებით, ფორმის ტანსაცმლით და სტიპენდიით. სწავლების დამთავრებისას ენიჭებათ ლეიტენანტის წოდება და იგზავნებიან სამუშაოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. ზუგდიდის №6 საგამომძიებლო იზოლატორი.

ერთობლივი საწარმოო „სანიტარულ-ჰიგიენური ქაღალდი", რომელიც შექმნილია ს-გ „საქქაღალდმრეწვის" და არხანგელსკის სატყეო მრეწველობის ბაზაზე, მუდმივ სამუშაოზე იწვევს 18 წელს გადაცილებულ ახალგაზრდებს.

კვალიფიცირებული მუშების ხელფასი 800-1000 მანეთია თვეში.

კვალიფიკაციის არმქონე მუშების მომზადება არჩეული სპეციალობის მიხედვით მოხდება ადგილზე. საშუალო თვიური ანაზღაურება სწავლების პერიოდში შეადგენს 250-300 მანეთამდე.

30 წლამდე ახალგაზრდებს, რომლებიც პირველად იწყებენ მუშაობას ერთობლივ საწარმოში, აქვთ საშუალება მიიღონ უპროცენტო სესხი 1000 მანეთამდე, რომლის 50 პროცენტი დაფარულ იქნება საწარმოს მიერ იმ შემთხვევაში, თუ მუშამ კეთილსინდისიერად იმუშავა სამი წელი, თუ მუშამ კეთილსინდისიერად იმუშავა ხუთი წელი, აღნიშნული სესხი მთლიანად დაფარულ იქნება ერთობლივი საწარმოს მიერ.

გათვალისწინებულია უახლოეს პერიოდში 100 ოჯახზე ბინის ტიპის საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.

ერთობლივი საწარმოს წამყვანი სპეციალისტებისათვის ყოველ ახალ აშენებულ სახლში გამოიყოფა 3 სამსახურებრივი სარგებლობის ბინა.

მისამართი: ზუგდიდი—2, ჯანაშიას ქ. №1, ტელეფონი 6—18—65.

დაწვრილებითი ცნობებისა და საგზურებისათვის მიმართეთ შრომითი მოწყობის ბიუროს. მისამართი: კოლხეთის ქ. 11.

ერთობლივი საწარმოო „სანჰიგიენის" დირექცია.

მეუღლე ვალია, შვილები თემური. თენგიზი. დები ლამარა. ნაირა, რძალი ცოცო, ძმისშვილები ილისო, შორენა, ელგუჯა, პაპუნა, მალხაზი, ლადო. დისშვილები იამზე, ზურაბი, ომია. ვახტანგი. ბესიკი კვარაცხელიები, მადონა. ემა. ნატო. რობერტი ლატარიები, სიძეები ნოდარ კვარაცხელია, კუკური ლატარია. სიდედრი თამარი. სიმამრი ძაკუ ბელქანია, ცოლისძმა გვანჯი ბელქანია, ცოლისდა თალიკო. რძალი ნელი. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**ანგო ისაკის ძე უბილავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 მაისს. დაკრძალვა 11 მაისს სოფ. ოდიშში (კალინინი).

შვილები: დუშა, ალიოშა, ლუდა, იგორი, შვილიშვილები: მაყვალა მამფორია, მურთაზი, როლანდი, თაიგული, თემური, მარინა, მედეა. ირმა. ხათუნა ხარებავები, რამინი. ლიანა, ჯამბულ სიჭინავები, შვილთაშვილიშვილები კახა, შორენა, იკა, ლევანი, ლანა, შოთა, ნათია, რამაზი, ლუდმილა, თამუნა, ნინო, ოლია, ზვიადი, სალომე, რძლები თამარა. ქუჩუჩა. ლამარა, როზა. მარინა, მზიური. მარინა. სიძეები: შოთა, ეგრისი. ერიკი. დათო, ახლო ნათესავები იუწყებიან
**ლიდია დუტუს ასულ ჯალაღონია-ხარებავას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 მაისს 18 საათზე. ს. ინგირი, გამოსვენება რუსთაველის მე-5 შესახვევი 6.

შვილები: ნოდარი. გურამი. ალიკო, რძლები: ქილთო. ნელი. კლარა. მზისა. შვილიშვილები: ლეილა, მზია, მანანა, ელდარი, სვეტა. ედიკი. ალიკა ჯიქიები, ძმისშვილები, დისშვილები, შვილთაშვილიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან
**გრიშა ჯამუს ძე ჯიქიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 მაისს. დაკრძალვა 11 მაისს სოფ. კოლხიდაში.

და იამზე, სიძე ბადრი, დისშვილი ირაკლი, ოდიკი. ნელი. ნინო. ბესო. და მალხაზი ქობალიები იუწყებიან
**თენგიზ გივის ძე ტუფურიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10 მაისს. დაკრძალვა 11 მაისს ს. თაგილონში (გალის რაიონი).

მეუღლე კადერბი, შვილები ფრიდონი, ირა, ნათელა, ნატო, რძლები: მედიკო. ლორიტა, სიძეები: ვარანცო, შამილ კვიციანები. ჯონი გასვიანი. დისშვილები ილამაზ, მიშა, გვილიფხ, რეზო ცინდელიანები. შვილიშვილები: ხათუნა. მარინე, ნანა, ლაშა. თეა,. ეკა ავთო, ტარიელ. ლევან. ნინო. გიორგი. ზიტა. ვალერი. ბაჩუკი, გიორგი. მულები: ქითო, ჩერი. ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**დარიკო დუდას ასულ ვიბლიანი-აფრასიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8, მაისს. დაკრძალვა 9 მაისს ს. ზედაეწერში.

დიდა ლენა. მეუღლე ვენერა, შვილი მიმოზა მოლაშხიები, შვილიშვილები: მირანდა, ირაკლი კილასონიები, დები: ნაზი. ციცო, იზო. ძმები: ნოდარი, ნუგზარი მოლაშხიები. რძლები ბროლისა. ნათელა. მზევინარი. მედიკო. სიძეები ზაურ ქობალია. ბონდო წურწუმია. გიორგი ლიქვენიძე. დისშვილები: კახა გუგუჩია. ზურაბ ქობალია. ბეჟანა წურწუმია. ძმისშვილები: ზაალი, ლევანი მოლაშხიები, ბიცოლები: ლუდა, ნუცა. ოლია. დეიდა: აველინა, დეიდაშვილი ინდიკო თოდუა. მამიდაშვილი ვალერიანე ქვარცხავა, ბიძაშვილები: ვინერა, ვარდიშა, ოთარი. ვალერიანე. დინა. ნათელა. ნუნუ. შოთა. გურამი. თალიკო. ზაურ მოლაშხიები. სიდედრი ანიჩკა, ცოლისდა ლიდა. ცოლისძმები: ნოდარი. ჯუმბერ. გურამი უბილავები. მზახალი ქენია კილასონია იუწყებიან
**გული კონდრატეს ძე მოლაშხიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11. მაისს გამოსვენება 12 მაისს. ზუგდიდი. კრილოვის 4-დან. დაკრძალვა ძველ აბასთუმანში.

დედა ნესტანი, მამა გურამი, დები: ენა, მარიკა, რიტა. ძმები: დათო კობა, გია. ბაბუა პროფი ბერიშვილი, მამიდა ლეილა, ბიძები: ტოტო. ზურიკო ბერიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**აბესალომ გურამის ძე ბერიშვილი**
პანაშვიდი 10, 11, 12 მაისს. დაკრძალვა 14 მაისს სოფელ ნარაზენში.

მეუღლე კაპიტონი, შვილები: მურმანი, ტიტიკო. ლონდა ცხონდიები, შვილიშვილი თამუნა, და ლამარა, ძმები: მარლენი, კოტე შეროზიები, რძლები: ნუნუ, ნათელა, ლუიზა, გულნარა, მული გული, მაზლი ბურდა კუტალია, მამიდა მარუსია, ბიძა რომან შეროზია, სიძეები ჯემალ მაქაცარია, ოთარ ხუბულავა, პაატა ჩახაია, დისშვილები: ჯამბული, ეკა. ირმა მაქაცარიები, ძმისშვილები: გია. მანანა, გილა, ბელა შეროზიები, მაზლიშვილები: ნანი. სოსო კუტალიები, მულიშვილები: პაპუნა, პაატა ხუბულავები იუწყებიან
**თალიკო დავითის ასულ შეროზია-ცხონდიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10, 11 მაისს. დაკრძალვა 12 მაისს სოფ. კახათში.

მეუღლე ლუნა აბსანძე, შვილები: როზა, ლია, ხათუნა, სოსო ჩიქავები, შალვა რაფავა. რძლები: ლალი ბერაძე, მერი ჯიქია, სიძეები: ბონდო სულაქველიძე, პალიკო ქარდავა, შვილიშვილები ლონდა, კახა, ილო, მირანდა, ბაჩუკი. ნიკა, ძმისშვილები: გურამი, მურმანი, რევაზი, რომანი, შუდული, დისშვილები დავითი, ნორა. ლეილა ხუბუტიები, მერაბი, მალხაზი ლაკირბაიები. ბიცოლა ანეტა. ბიძაშვილები: იოსები ლეო. მზია, დათო, მაია ჩიქავები, ვინერა თორდუა, შორენა, ასმათ სიჭინავები, მამიდაშვილი ვალიკო, კვარაცხელია, ცოლისძმები: ლუთა, ნაპო აბსანძეები, მზახლები: ციალა, გურამ ბერაძეები, ნინა სულაქველიძე ლუცია ქარდავა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**დავით (ბაჩუკა) კალისტრატეს ძე ჩიქავა.**
პანაშვიდი 8, 9, 10 მაისს. დაკრძალვა 11 მაისს სოფ. კოკში.

ზუგდიდის შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათელა როგავას მამის
**ერმინე როგავას**
გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ყორა მოსიძის ოჯახს რძლის
**მაგდალინა არდია-მოსიძის**
გარდაცვალების გამო.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80 რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47 [illegible].

საქ. ბეჭდვასახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, ტირაჟი 8000 შ. №1751